



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

07.09.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №94

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 სექტემბრის მორიგი
სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე
მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 სექტემბრის მორიგი
სხდომის დღის წესრიგი:

1.1 „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნი
ლი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №34
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ოთარ ქადარია- ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ნინო სხულუხია- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი

1.2 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: თამუნა ჯიქია-ფრაქცია „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“- თავმჯდომარე

1.3 სხვადასხვა საკითხები.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის
დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ.
№12).



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე